**სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1, ტელ.: 0350 272 401, ელ. ფოსტა: info@tesau.edu.ge

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

# ტურიზმი

# Tourism

ფართო სფერო: 10 მომსახურებები Services
**ვიწრო სფერო:** 101 პერსონალური მომსახურებები Personal Services

**დეტალური სფერო: 1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება Travel, Tourism and Leisure** (1015.1.1 ტურიზმი Tourism)

**პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი:**

1) მანანა ალადაშვილი, ასოცირებული პროფესორი,ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი
2) ნანა რინკიაშვილი, პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

1. მიღებულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ
   ოქმი 2, 26.01.2023წ.

   ფაკულტეტის დეკანი: /თ.თამარაშვილი/

2. რეკომენდებულია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ
   ოქმი №

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის ხელმძღვანელი: /ს. თათულიშვილი/

3. დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ
   ოქმი №

უნივერსიტეტის რექტორი: /შ.ჭკადუა/

თელავი

2023

**ფაკულტეტი:** სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის

**დეპარტამენტი**: სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის

- **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:**
  ტურიზმი Tourism
- **პროგრამის ანალოგ(ებ)ი:**

პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალურ სფეროში არსებული სწავლის სფეროს შინაარსი, ამ სფეროს განვითარების ტენდენციები ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე არსებული საუკეთესო პრაქტიკა ევროპის უნვერსიტეტების მსგავსი პროგრამების გამოცდილება (იხ. დანართი 6):

1. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ https://www.seu.edu.ge/ka/1749/
2. ევროპის უნივერსიტეტი https://eu.edu.ge/ge/program/1397-turizmi
3. Entrepreneurship, Tourism & Leisure Business
   https://www.angliss.edu.au/courses/tourism/tourism/bachelor-of-tourism/#:~:text=Course%20Description,and%20delivering%20memorable%20visitor%20experiences Bachelor of Tourism | William Angliss Institute

- **საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი:**

- მანანა ალადაშვილი, ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, მობ. 599292800, ელ.ფოსტა: manana.aladashvili@tesau.edu.ge
- ნანა რინკიაშვილი, ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი. საკონტაქტო ინფორმაცია: მობ. 557778585. ელ.ფოსტა nana.rinkiashvili@tesau.edu.ge

- **აკადემიური განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი (I საფეხური)

- **პროგრამის ტიპი:** ძირითადი

- **სწავლების ენა:** ქართული

- **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ტურიზმის ბაკალავრი
  Bachelor of Tourism
- **პროგრამის მოცულობა კრედიტებით**: 240 კრედიტი.

- **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესი, კერძოდ, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე შეუძლია ჩარიცხვა საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც გააჩნია სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და წარმატებით ჩააბარებს საქართველოს ეროვნული საგამოცდო ცენტრის მიერ ადმინისტრირებულ გამოცდებს და გაივლის რეგისტრაციას თელავის უნივერსიტეტში..

პირის ჩარიცხვა, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

**ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:**

1. შრომის ბაზარს მიაწოდოს ფართო თეორიული ცოდნით და შესაბამისი პრაქტიკული უნარებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებული, რომელიც მისი კომპეტენციის ფარგლებში შეძლებს მდგრადი ტურიზმის პოლიტიკის დაგეგმვას და რეალიზებას;
2. ტურიზმის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე კურსდამთავრებული, რომელიც აღჭურვილი იქნება ტურისტული პროდუქტის ფორმირების პროცესში ტურისტულ - რეკრეაციული რესურსების შერჩევის და ხარისხობრივი მახასიათებლების იდენტიფიცირების საჭირო ცოდნით/უნარ-ჩვევებით;

3. გამოუმუშავოს ტურიზმის სფეროში დამკვიდრებული ეთიკური ნორმების პატივისცემის უნარი სასწავლო და პრაქტიკულ გარემოში.

- **სწავლის შედეგი:** საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ფართო დარგობრივი ცოდნა და ზოგადი კომპეტენციები:

ცოდნა და გაცნობიერება

1. ***აღწერს*** მდგრადი ტურიზმის მართვის ძირითად ფაქტორებს, პრინციპებს, ტურისტული საქმიანობის ძირითად პროცესებს.
2. ***განიხილავს*** ტურისტული სფეროსა და ტურისტული პროდუქტის ფორმირების და რეალიზაციის პროცესში ეკონომიკურ-ფინანსურ, პოლიტიკურ-სამართლებრივ, სოციალურ-კულტურულ, ეკოლოგიურ და ეთიკურ საკითხებს;
3. ***ახდენს*** ტურისტულ-რეკრეაციული რესურსული პოტენციალის ხარისხობრივი მაჩვენებლების და გამტარუნარიანობის შეფასებას, მათი ჩართვის შესაძლებლობას ტურისტული პროდუქტის ფორმირების პროცესში;
4. ***აღწერს*** ტურისტული ინდუსტრიასთან დაკავშირებული პროცესებს როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორში; .

უნარი

5. ***იყენებს*** ტურისტული პროდუქტის შემუშავების, მომსახურების და რეალიზაციის აპრობირებულ მეთოდებს;
6. მარკეტინგული ინფორმაციის საფუძველზე ***აანალიზებს*** ადგილობრივ და მსოფლიო ბაზრებზე ტურიზმის მიმდინარე ტენდენციებს და შეიმუშავებს ბაზარზე გასვლის პოზიციონირების სტრატეგიას;
7. ***ახორციელებს*** ზეპირ და/ან წერილობით კომუნიკაციას ქართულ და/ან უცხო ენაზე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით; მსჯელობს ტურიზმის დარგში არსებული პრობლემებისა და გამოწვევების, მათი გადაჭრის გზების შესახებ;
8. ხელმძღვანელის რეკომენდაციების შესაბამისად შეიმუშავებს ტურიზმთან დაკავშირებულ პრაქტიკული ხასიათის პროექტებს;

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

9. ეთიკური ნორმებისა და გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვით, მინიმალური მითითებების საფუძველზე ახორციელებს ტურიზმის სფეროში არსებული გამოწვევებისა და პრობლემების მცირე კვლევას და შეიმუშავებს ნაშრომს / პროექტს.

- **სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები/ფორმები:** ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სწავლების მრავალფეროვანი ფორმები და მეთოდები. სტუდენტები თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას ეუფლებიან ლექციებზე, სემინარებზე, პრაქტიკულ მეცადინეობებზე, დამოუკიდებელი სამუშაოების განხორციელებით. სტუდენტებთან ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციებითა, on line სწავლებით და სხვა. სხვადასხვა სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე ლექტორი შესაძლოა იყენებდეს ერთ ან რამდენიმე მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე.

☒ ლექცია ☒ სამუშაო ჯგუფში მუშაობა ☒ სემინარი

☒ პრაქტიკული მუშაობა ☒ საბაკალავრო ნაშრომი ☒ საშინაო დავალება/რეფერატი ☐ ესე ☒ ელექტრონული რესურსით სწავლება ☒ სხვა

**სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები/ფორმები და აქტივობები:**

❖ **ლექცია -** შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც ერთდროულად მონაწილეობენ ლექტორი და სტუდენტი. ლექციის ძირითადი მიზანია შესასწავლი საგნის დებულებათა იდეის გაგება, რაც გულისხმობს გადმოცემული მასალის შემოქმედებით და აქტიურ აღქმას. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს გადასაცემი მასალის ძირითად დებულებებს, განმარტებებს, აღნიშვნებს, დაშვებებს. საჭიროა მთავარი საკითხების, ფაქტებისა და იდეების კრიტიკული ანალიზი. ლექცია უნდა უზრუნველყოფდეს შესასწავლი საგნის ძირითადი დებულებების მეცნიერულ და ლოგიკურად თანმიმდევრულ შეცნობას ზედმეტი დეტალებით გადატვირთვის გარეშე.

❖ **სემინარი** - სემინარის დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეს ლექციაზე მოსმენილი თემების გაღრმავების საშუალება. წამყვანი პროფესორის ან სემინარის წამყვანი პედაგოგის მითითებით სტუდენტი ან სტუდენტთა ჯგუფი მოიძიებს და ამუშავებს დამატებით ინფორმაციას, ამზადებს პრეზენტაციას, წერს ესეს და სხვ. სემინარზე მოისმინება მოხსენებები, იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები. სემინარის ხელმძღვანელი პედაგოგი კოორდინაციას უწევს ამ პროცესების მიზანმიმართულად წარმართვას.

❖ **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი** – ახალი მასალის გადაცემა ზეპირსიტყვიერად, თხრობითი სახით, რომლის დროსაც კომპლექსურად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი თემატიკის შინაარსიდან გამომდინარე. ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა,

საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

❖ **წიგნზე მუშაობის მეთოდი** - მეთოდი ძირითადად სწავლის პროცესში გამოიყენება. სტუდენტი სურვილის მიხედვით ამუშავებს რეფერატს ან/და პრეზენტაციას, სტატიებს სამეცნიერო კონფერენციებისათვის.

❖ **წერითი მუშაობის მეთოდი,** რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება, და ა.შ.

❖ **პრაქტიკული მეთოდები** – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას;

❖ **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიური სწავლების ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

❖ **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

- ❖ **პრეზენტაცია ზეპირად და წერილობით,** მათ შორის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;
- ❖ **კვლევითი (საბაკალავრო ნაშრომი) ან პრაქტიკული ხასიათის ნაშრომის (პროექტი)** დაგეგმვა და განხორციელება;

❖ **გონებრივი იერიში (Brain storming)** - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავდებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- ➢ პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა.
- ➢ დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე).
- ➢ გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან.
- ➢ კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა.
- ➢ შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით.
- ➢ უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

- **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

• **ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

• **დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

• **ელექტრონული სწავლება** (E-learning) – გულისხმობს სწავლებას ინტერნეტითა და მულტიმედიური საშუალებებით. იგი მოიცავს სწავლების პროცესის ყველა კომპონენტს (მიზნები, შინაარსი, მეთოდები, საშუალებები და სხვ.), რომელთა რეალიზება ხდება სპეციფიკური საშუალებებით. ელექტრონული სწავლება არის სამი სახის: **დასწრებული,** როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პროფესორისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით. **ჰიბრიდული** (დასწრებული/დისტანციური), სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში. **მთლიანად დისტანციური** სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას პროფესორის ფიზიკური თანდასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად ელექტრონული ფორმატით მიმდინარობს. დისტანციური სწავლებისთვის გამოიყენება Moodle, Google Classroom და Google Hangout (Meet) პლატფორმები. გამოიყენება სინქრონული და/ან ასინქრონული სწავლების კომუნიკაციის ფორმა. სასწავლო კურსის მასალის გადასაცემად შერჩეულ იქნება რელევანტური ელექტრონული ტექნოლოგიური ინსტრუმენტები (აუდიო-ვიდეო მასალები, Power Point ლექციები, და სხვ.). **და სხვა.**

• **დასაქმების სფერო:** ტურიზმის ბაკალავრს შეუძლია დასაქმება, როგორც სახელმწიფო, ისე საერთაშორისო, კერძო ტურისტულ სტრუქტურებში, ტურიზმის ინდუსტრიის სექტორში, საკურორტო ობიექტებზე, მუზეუმებში, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციაში, დაცული ტერიტორიების სააგენტოში, ეროვნული პარკების და ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებში, რეგიონული ადგილობრივი თვითმმართველობით ერთეულებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში ტურიზმის მიმართულებით.

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა განაგრძოს უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე - მაგისტრატურაში.

**მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:** შეუზღუდავი ინტერნეტით აღჭურვილი კომპიუტერული ცენტრები, საკონფერენციო და საპრეზენტაციო დარბაზები, კეთილმოწყობილი აუდიტორიები, პროფესორ-მასწავლებელთა სალექციო კურსები, რიდერები,

თანამედროვე ბეჭდური და ელექტრონული ლიტერატურით განახლებული, ტექნიკურად აღჭურვილი ბიბლიოთეკა ჩართული საერთაშორისო ქსელში:

ბიბლიოთეკა ჩართულია ინტეგრირებულ ელექტრონულ კატალოგში (EVERGREEN).

გაწევრიანებულია EIFL-ის კონსორციუმში, რის შედეგადაც ჩართულია შემდეგი დარგობრივი სამეცნიერო მონაცემთა ბაზები:

1. **Cambridge Journals Online** *(https://www.cambridge.org/core)*
2. **e-Duke Journals Scholarly Collection** *(https://read.dukeupress.edu/)*
3. **Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books** *(https://www.elgaronline.com/)*
4. **European Respiratory Journal** *(https://erj.ersjournals.com/)*
5. **IMechE Journals** *(https://uk.sagepub.com/en-gb/eur/IMEchE)*
6. **Mathematical Sciences Publishers Journals***(https://msp.org/)*
7. **Openedition Journals** *(https://www.openedition.org/)*
8. **Royal Society Journals Collection** *(https://royalsociety.org/journals/)*
9. **SAGE Journals** *(https://journals.sagepub.com)*
10. **The Company of Biologists' Journals** *(https://www.biologists.com/development/)*

**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:** სტუდენტთა ცოდნის შეფასება და კრედიტის მინიჭება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანების და სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესახებ დებულების (დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე: ოქმი №2 04.02.2022წ.) შესაბამისად. დეტალურად იხ. სასწავლო კურსების სილაბუსები.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

**მითითება:** ყველა სილაბუსში განსაზღვრულია შუალედური შეფასებების (არაუმეტეს 60%-ისა) და დასკვნითი გამოცდის შეფასების (არაუმეტეს 60%-ისა) მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. თითოეულ საგანში სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ზემოთ მოყვანილი ერთ-ერთი დადებითი შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან მინიმალური კომპეტენციის გათვალისწინებით. სტუდენტს, რომელსაც დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისიწნებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულას მიიღებს, უფორმდება შეფასება F-0.

- **სწავლების ორგანიზების თავისებურებები:** პროგრამა 240 კრედიტიანია:
  - ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი - 115 კრედიტი
  - ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტი - 15 კრედიტი
  - თავისუფალი სავალდებულო კომპონენტი - 35 კრედიტი
  - თავისუფალი არჩევითი კომპონენტი - 15 კრედიტი
  - 60 კრედიტი - სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ან დამატებითი პროგრამა (მაინორი, 60 კრედიტი) ან ტურიზმის პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსები (გაიღრმავოს ცოდნა ამ მიმართულებით) ან თავისუფალი კრედიტები უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებიდან ან საზღვარგარეთის უნივერსიტეტში ანალოგიურ საფეხურზე შესწავლილი სასწავლო კურსებში მიღებული კრედიტები უნივერსიტეტში კრედიტების აღიარებით (არსებული წესის შესაბამისად)

დანართი #1

## ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაის სასწავლო გეგმა

| № | საგნის კოდი | პროგრამის კომპონენტები | დაშვების წინაპირობა | სავარაუდო სემესტრი | ECTS კრედიტები | საათი | | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | საკონტაქტო | დამოუკიდებელი | |
| | სასწავლო კომპონენტი | | | | | | | |
| | მირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი - 115 კრედიტი | | | | | | | |
| 1. | SBLS1TC | კალკულუსი | არ გააჩნია | I | 5 | 46 | 79 | 125 |
| 2. | SBLS1TProE | ეკონომიკის პრინციპები | არ გააჩნია | II | 5 | 32 | 93 | 125 |
| 3. | SBLS1TBoT | ტურიზმის საფუძვლები | არ გააჩნია | II | 5 | 32 | 93 | 125 |
| 4. | SBLS1TBoB | ბიზნესის საფუძვლები | არ გააჩნია | III | 5 | 32 | 93 | 125 |
| 5. | SBLS1TBoM | მარკეტინგის საფუძვლები | არ გააჩნია | V | 5 | 32 | 93 | 125 |
| 6. | SBLS1TBoMgt | მენეჯმენტის საფუძვლები | არ გააჩნია | IV | 5 | 32 | 93 | 125 |
| 7. | SBLS1TTRRoG | საქართველოს ტურისტულ - რეკრეაციული რესურსები | არ გააჩნია | II | 5 | 32 | 93 | 125 |
| 8. | SBLS1TFA | ფინანსური აღრიცხვა | არ გააჩნია | III | 5 | 32 | 93 | 125 |
| 9. | SBLS1TST | მდგრადი ტურიზმი | ტურიზმის საფუძვლები | VI | 5 | 32 | 93 | 125 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10. | SBLS1TCT | კულტურული ტურიზმი | ტურიზმის საფუძვლები | IV | 4 | 32 | 68 | 100 |
| 11. | SBLS1TSTiT | სტატისტიკა ტურიზმში | კალკულუსი ეკონომიკის პრიციპები | III | 5 | 32 | 93 | 125 |
| 12. | SBLS1TT&HMgt | ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი | მენეჯმენტის საფუძვლები | V | 5 | 32 | 93 | 125 |
| 13. | SBLS1TTMar | ტურიზმის მარკეტინგი | მარკეტინგის საფუძვლები | VI | 5 | 32 | 93 | 125 |
| 14. | SBLS1TTProfOofHS | სასტუმროს მომსახურეობის ორგანიზაციის პრინციპები | ტურიზმის საფუძვლები | VI | 5 | 32 | 93 | 125 |
| 15. | SBLS1TTheMTofBinT | ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში | კომპიუტერული უნარ-ჩვევები | VI | 6 | 46 | 104 | 150 |
| 16. | SBLS1TEfSP1 | დარგობრივი (ინგლისური)ენა 1 | ინგლისური ენა 4 | V | 5 | 32 | 93 | 125 |
| 17. | SBLS1TEfSP2 | დარგობრივი (ინგლისური)ენა 2 | დარგობრივი (ინგლისური)ენა 1 | VI | 5 | 32 | 93 | 125 |
| 18. | SBLS1TRfSP1 | დარგობრივი (რუსული) ენა 1 | რუსული ენა 4 | V | 5 | 32 | 93 | 125 |
| 19. | SBLS1TEfSP2 | დარგობრივი (რუსული) ენა 2 | დარგობრივი (რუსული) ენა 1 | VI | 5 | 32 | 93 | 125 |
| 20. | SBLS1TGfSP1 | დარგობრივი (გერმანული) ენა1 | გერმანული ენა 4 | V | 5 | 32 | 93 | 125 |
| 21. | SBLS1TGfSP2 | დარგობრივი (გერმანული) ენა2 | დარგობრივი (გერმანული) | VI | 5 | 32 | 93 | 125 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ენა1 | | | | | |
| 22. | SBLS1TTOp | ტუროპერეიტინგი | ტურიზმის საფუძვლები | VII | 5 | 32 | 93 | 125 |
| 23. | SBLS1TLRofTP | ტურიზმის პოლიტიკა და სამართლებრივი რეგულირება | არ გააჩნია | VII | 6 | 46 | 104 | 150 |
| 24. | SBLS1TSinT | უსაფრთხობა ტურიზმში | ტურიზმის საფუძვლები | V | 4 | 32 | 68 | 100 |
| 25. | SBLS1TBoRM | შესავალი კვლევის მეთოდებში | კალკულუსი, სტატისტიკა ტურიზმისათვის | VII | 4 | 32 | 68 | 100 |
| 26. | SBLS1TPrac | პრაქტიკა | I-VII სემესტრში გავლილი ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტები | VIII | 6 | 60 | 90 | 150 |
| 27. | SBLS1TBTh | საბაკალავრო ნაშრომი | I-VII სემესტრში გავლილი ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტები | VIII | 5 | 15 | 110 | 125 |
| | **ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი - 15 კრედიტი** | | | | | | | |
| 1. | SBLS1TTG | ტურიზმის გეოგრაფია | არ გააჩნია | | 5 | 32 | 93 | 125 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **2.** | SBLS1TGEth | საქართველოს ეთნოგრაფია | არ გააჩნია | | 5 | 32 | 93 | 125 |
| **3.** | SBLS1TEx | ექსკურსიათმცოდნეობა | ტურიზმის საფუძვლები | | 5 | 32 | 93 | 125 |
| **4.** | SBLS1TDMgt | დანიშნულების ადგილის მენეჯმენტი | ტურიზმის საფუძვლები | | 5 | 32 | 93 | 125 |
| **5.** | SBLS1TBofI | ინვესტიციების საფუძვლები | ეკონომიკის პრინციპები | | 5 | 32 | 93 | 125 |
| **6.** | SBLS1TTrIinT | ტრანსპორტის ინდუსტრია ტურიზმში | ტურიზმის საფუძვლები | | 5 | 32 | 93 | 125 |
| **7.** | SBLS1TD&BMgt | კვებისა და სასმელების მენეჯმენტი | არ გააჩნია | | 5 | 32 | 93 | 125 |
| **8.** | SBLS1TSM | მომსახურების მარკეტინგი | მარკეტინგის საფუძვლები | | 5 | 32 | 93 | 125 |
| **9.** | SBLS1TEMgt | ღონისძიებების მენეჯმენტი | მენეჯმენტის საფუძვლები | | 5 | 32 | 93 | 125 |
| **10.** | SBLS1TMcom | მარკეტინგული კომუნიკაციები | მარკეტინგის საფუძვლები | | 5 | 32 | 93 | 125 |
| **11.** | SBLS1TE&aT | ეკო და აგრო ტურიზმი | ტურიზმის საფუძვლები | | 5 | 32 | 93 | 125 |
| **12.** | SBLS1TSTofTPr | ტურისტული პროდუქტის გაყიდვის ტექნოლოგიები | ტურიზმის მარკეტინგი | | 5 | 32 | 93 | 125 |
| **13.** | SBLS1TWT | ღვინის ტურიზმი | არ გაჩნია | | 5 | 46 | 79 | 125 |
| **14.** | SBLS1TEofT | ტურიზმის ეკონომიკა | ეკონომიკის პრინციპები | | 5 | 32 | 93 | 125 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **15.** | SBLS1TR&PrSMgtinT | რისკებისა და პრობლემური სიტუაციების მართვა ტურიზმში | ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის მენეჯმენტი | | 5 | 32 | 93 | 125 |
| **16.** | SBLS1T**HHMK** | კახეთის ისტორიული ძეგლები | არა აქვს | | 5 | 32 | 93 | 125 |
| **17.** | SBLS1TB | ბრენდინგი | მარკეტინგის საფუძვლები | | 5 | 32 | 93 | 125 |
| **18.** | SBLS1TOpMgt | ოპერაციული მართვა | მენეჯმენტის საფუძვლები | | 5 | 32 | 93 | 125 |
| | **თავისუფალი სავალდებულო კომპონენტები** | | | | **35** | | | |
| **1.** | U1AW | აკადემიური წერა | - | 2 | 5 | 32 | 93 | 125 |
| **2.** | U1CS&IT | კომპიუტერული უნარ-ჩვევები და ინფორმაციული ტექნოლოგიები | - | 1 | 5 | 46 | 79 | 125 |
| **3.** | U1IiFM | შესავალი ფილოსოფიურ აზროვნებაში | - | 1 | 5 | 46 | 79 | 125 |
| **4.** | | უცხო(ინგლისური, გერმანული, რუსული) ენა[1] | - | 1,2,3,4 | 20 | 46 | 79 | 125 |
| | **თავისუფალი არჩევითი კომპონენტი** | | | | **15** | | | |
| **1.** | FECCA | კომპიუტერის | - | | 5 | 46 | 79 | 125 |

[1] ყოველი წინა ნაწილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | არქიტექტურა | | | | | | |
| 2. | FECD&C | დემოკრატია და მოქალაქეობა | - | | 5 | 32 | 93 | 125 |
| 3. | FECGCoGH | ზოგადი კურსი საქართველოს ისტორიაში | - | | 5 | 46 | 79 | 125 |
| 4. | FECL | ლოგიკა | - | | 5 | 46 | 79 | 125 |
| 5. | FECHoGP | ქართული ფილოსოფიის ისტორია | - | | 5 | 32 | 93 | 125 |
| 6. | FECGCoP | შესავალი კურსი პოლიტოლოგიაში | - | | 5 | 32 | 93 | 125 |
| 7. | FECA&PPiG | ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესები საქართველოში | - | | 5 | 32 | 93 | 125 |
| 8. | FECRoCRbyIA | კატასტროფის რისკის შემცირება ინკლუზიური მიდგომით | - | | 5 | 32 | 93 | 125 |
| 9. | FECE | ეთიკა | - | | 5 | 32 | 93 | 125 |
| 10. | FECRoCS | სამოქალაქო საზოგადოების როლი | - | | 5 | 32 | 93 | 125 |
| 11. | NS1BGe | ზოგადი გეოგრაფია | - | | 5 | 32 | 93 | 125 |
| 12. | SBLS1PADSEU | ევროკავშირი და საქართველოს | - | | 5 | 36 | 93 | 125 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ევროპული ინტეგრაცია | | | | | | |
| **13.** | EDS1PLTGF | ზოგადი ფსიქოლიგია | - | | 5 | 46 | 79 | 125 |

## დამატებითი (minor) საგანმანათლებლო პროგრამა: „ტურიზმი"

**სწავლის შედეგი:** დამატებითი **(minor)** საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს დარგობრივი ცოდნა და ზოგადი კომპეტენციები:

**ცოდნა და გაცნობიერება**

10. ***აღწერს*** მდგრადი ტურიზმის მართვის ძირითად ფაქტორებს, პრინციპებს, ტურისტული საქმიანობის ძირითად პროცესებს.
11. ***განიხილავს*** ტურისტული სფეროსა და ტურისტული პროდუქტის ფორმირების და რეალიზაციის პროცესში, პოლიტიკურ-სამართლებრივ, სოციალურ-კულტურულ, ეკოლოგიურ და ეთიკურ საკითხებს;
12. ***ახდენს*** ტურისტულ-რეკრეაციული რესურსული პოტენციალის ხარისხობრივი მაჩვენებლების და გამტარუნარიანობის შეფასებას, მათი ჩართვის შესაძლებლობას ტურისტული პროდუქტის ფორმირების პროცესში;
13. ***აღწერს*** ტურისტული ინდუსტრიასთან დაკავშირებული პროცესებს როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორში; .

**უნარი**

14. ***იყენებს*** ტურისტული პროდუქტის შემუშავების, მომსახურების და რეალიზაციის აპრობირებულ მეთოდებს;
15. ***აღწერს*** ტურიზმის დარგში არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებს, შეარჩევს მათი გადაჭრის გზებს.

**დამატებითი სპეციალობის არჩევანი:** ტურიზმის დამატებითი (minor) სპეციალობის არჩევა ხდება სტუდენტის მიერ მეორე სემესტრის ბოლოს და პროგრამა მუშაობას იწყებს მესამე სემესტრიდან.

ტურიზმის დამატებითი (minor) საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა

დამატებითი სპეციალობის პროგრამის სტრუქტურა

| | საგნის კოდი | პროგრამის კომპონენტები | დაშვების წინაპირობა | სავარაუდო სემესტრი | ECTS კრედიტები | საათი | | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | საკონტაქტო | დამოუკიდებელი | |
| | სასწავლო კომპონენტი | | | | | | | |
| | ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი - 45 კრედიტი | | | | | | | |
| 1. | SBLS1TBoT | ტურიზმის საფუძვლები | არ გააჩნია | III | 5 | 32 | 93 | 125 |
| 2. | SBLS1TTRRoG | საქართველოს ტურისტულ - რეკრეაციული რესურსები | არ გააჩნია | III | 5 | 32 | 93 | 125 |
| 3. | SBLS1TST | მდგრადი ტურიზმი | ტურიზმის საფუძვლები | IV | 5 | 32 | 93 | 125 |
| | | | | | | | | |
| 4. | SBLS1TCT | კულტურული ტურიზმი | ტურიზმის საფუძვლები | V | 4 | 32 | 68 | 100 |
| 5. | SBLS1TLRofTP | ტურიზმის პოლიტიკა და სამართლებრივი რეგულირება | არ გააჩნია | V | 6 | 46 | 104 | 150 |
| 6. | SBLS1TTProfOofHS | სასტუმროს მომსახურეობის ორგანიზაციის პრინციპები | ტურიზმის საფუძვლები | VI | 5 | 32 | 93 | 125 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7. | SBLS1TTheMTofBinT | ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში | კომპიუტერული უნარ-ჩვევები | VII | 6 | 46 | 104 | 150 |
| 8. | SBLS1TSinT | უსაფრთხოება ტურიზმში | ტურიზმის საფუძვლები | VII | 4 | 32 | 68 | 100 |
| 9. | SBLS1TTOp | ტუროპერეიტინგი | ტურიზმის საფუძვლები | VIII | 5 | 32 | 93 | 125 |
| | **ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტი - 15 კრედიტი** | | | | | | | |
| | | | | | | | | |
| 19. | SBLS1TEx | ექსკურსიათმცოდნეობა | ტურიზმის საფუძვლები | | 5 | 32 | 93 | 125 |
| 20. | SBLS1TDMgt | დანიშნულების ადგილის მენეჯმენტი | ტურიზმის საფუძვლები | | 5 | 32 | 93 | 125 |
| 21. | SBLS1TTrIinT | ტრანსპორტის ინდუსტრია ტურიზმში | ტურიზმის საფუძვლები | | 5 | 32 | 93 | 125 |
| 22. | SBLS1TD&BMgt | კვებისა და სასმელების მენეჯმენტი | არ გააჩნია | | 5 | 32 | 93 | 125 |
| 23. | SBLS1TE&aT | ეკო და აგრო ტურიზმი | ტურიზმის საფუძვლები | | 5 | 32 | 93 | 125 |
| 24. | SBLS1TWT | ღვინის ტურიზმი | არ გააჩნია | | 5 | 45 | 80 | 125 |
| 25. | SBLS1TTG | ტურიზმის გეოგრაფია | არ გააჩნია | | 5 | 32 | 93 | 125 |

პროგრამის არჩევა შეუძლია უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს.